

ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის  
N26 ბინაზე, მოქალაქე მანანა ლუტიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N26 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მანანა ლუტიძის განცხადება /2013 წლის 11.03 Nა-2988/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლი N26 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N26 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მანანა ლუტიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, დადიანის ქუჩა N55 საცხოვრებელი სახლის N26 ბინაზე /საერთო ფართობი 35,14 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 15,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,84 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 7,30 კვ.მ./ მოქალაქე მანანა ლუტიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი